მათემატიკური თამაში

„მიუახლოვდი 100-ს!"

კლასი: მესამე

თემა: ნატურალური რიცხვების შეკრება

მიმართულება: რიცხვები და მოქმედებები

მასალა: ბარათები ციფრებით ან კარტი, რომლიდანაც 10-იანები და "ნახატი კარტი" ამოღებულია; „100-თან მიახლოების“ სააღრიცხვო ცხრილი თითოეული მოთამაშისთვის (დანართი 1.).

თამაშის მიზანი: ორნიშნა რიცხვების შეკრების გამოყენებით მიიღოთ ისეთი რიცხვი, რომელიც მაქსიმალურად ახლოს იქნება 100-თან.

თამაშის ორგანიზების ფორმა: თამაში განკუთვნილია გაკვეთილზე მცირე ჯგუფებში (მაქსიმუმ, 4 კაცი) სამუშაოდ, ასევე, ბავშვებისთვისა და მშობლებისთვის.

აქტივობის აღწერა:

კარტის (ბარათების) დასტა იდევა მაგიდაზე პირით ქვემოთ.

#1 მოთამაშე იღებს 4 კარტს და მიღებული ციფრების კომბინაციით ქმნის 2 ორნიშნა რიცხვს, რომელთაც ერთმანეთს უმატებს. ამ დროს იგი უნდა ეცადოს, მიღებული რიცხვი 100-თან მაქსიმალურად ახლოს იყოს. შესაძლებელია, 100-ის გადაჭარბებაც.

#1 მოთამაშე ამ ოპერაციას თავის სააღრიცხვო ბარათში წერს, სხვა მოთამაშეები მის სისწორეს ამოწმებენ.

მაგალითად: #1 მოთამაშემ დასტიდან ამოიღო 4-იანი, 7-იანი, 2-იანი და 5-იანი. ამ ციფრების კომბინირებით გადაწყვიტა, რომ ყველაზე კარგი შემდეგი ოპერაცია იქნებოდა:

47 + 52 = 99

#2 მოთამაშე ასევე ოთხ კარტს იღებს და იმავე ოპერაციას ასრულებს.

თითოეულ მოთამაშეს ეწერება იმდენი ქულა, რა სხვაობაც არის მათ მიერ მიღებულ რიცხვსა და 100-ს შორის. მაგალითად: თუ მოსწავლემ ოთხი რიცხვისგან შეადგინა ორი ორნიშნა, რიცხვი, რომელთა ჯამი იყო 95, მას 5 ქულა ეწერება, ისევე როგორც მაშინ, 105 რომ მიეღო.

პირველი ცდის შემდეგ მოთამაშეები ქულებს ადარებენ; შემდეგ უკვე აღებულ კარტებს გვერდზე გადადებენ და თავიდან იმეორებენ იმავე ქმედებას - დასტიდან იღებენ კიდევ 4 კარტს და ახალ შეკრებას ახორციელებენ.

ექვსი ცდის შემდეგ მოთამაშეები მიღებულ ქულებს აჯამებენ და იგებს ის, ვისაც ყველაზე დაბალი ჯამური ქულა ექნება.

დანართი 1.

სააღრიცხვო ბარათი

ცდა 1

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ცდა 2

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ცდა 3

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ცდა 4

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ცდა 5

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ცდა 6

_____
\+
_____

ჯამი _____

მიღებული ქულა _____

ექვსივე ცდაზე მიღებული ქულების ჯამი _____